ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა

საქართველო, თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24, ტელ:(+995) 95 33 94 00
ელ–ფოსტა: eredvismunicipaliteti@yahoo.com

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება

KA000067779928823

№ 01-100-ს **27 / თებერვალი / 2023 წ.**

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკის დევნილთა დასახლებაში მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებისთვის მოწვეული სხვადასხვა პროფილის სამედიცინო პერსონალისთვის კვებითი ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, “ერედვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 05 დეკემბრის N16 დადგენილების მე-18 მუხლის, ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთველობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის (27.02.2023წ.) მოხსენებითი ბარათის N 02/164 შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოიყოს ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან არა უმეტეს 400.00 (ოთხასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკის დევნილთა დასახლებაში 2023 წლის 01 მარტს მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებისთვის მოწვეული სხვადასხვა პროფილის 7 (შვიდი) სამედიცინო პერსონალისთვის კვებითი ხაჯების ლანჩის დასაფინასებლად.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის შესრულება დაევალოს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში სარჩელის წარდგენის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #64).

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ოთარ ცოტნიაშვილი